



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



KFW



## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N10  
მაისი, 2021

### ენდემური მცენარეების გადარგვა სოფელ ქვედა ვაშლოვანში

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის უმთავრესი მიზანი, სანდო და უწყვეტი წყალმომარაგების და ნარჩენი წყლების უსაფრთხო განმედიის სისტემის უზრუნველყოფაა, რაც დიდ წვლილს შეიტანს აჭარის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვის საკითხებში.

ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად, აუცილებელია ახალი წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის შექმნა. ახალი სისტემების დაგეგმვა, პროექტების მომზადება და ფიზიკური რეალიზება საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების და მოთხოვნების დაცვით მოხდება.

KfW ბანკის გარემოსდაცვითი სოციალური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად, თითოეული პროექტისთვის ბიომრავალფეროვნების კვლევა და მონიტორინგი განხორციელდა. აღნიშნულის მიზანი, საპროექტო არეალში ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფაა.

კვლევა და მონიტორინგი მოიცავს ფლორისა და ფაუნის შეფასებას, პროექტის პოტენციური გავლენის და შესაძლო ზემოქმედების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. მონიტორინგის საფუძველზე, ბიომრავალფეროვნების ექსპერტების მიერ, მომზადდა რეკომენდაციები საპროექტო არეალში არსებული დაცული, ენდემური სახეობების თესლების შეგროვებასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დარგვაზე, ან სამშენებლო არეალის მიღმა გადარგვაზე.

ხულოში, ქვემო ვაშლოვანში ჩატარებული კვლევის შედეგად საპროექტო არეალში აღმოჩენილი იქნა ენდემური სახის შემდეგი ბალახოვანი მცენარეები:

- Euphorbia pontica Prok - კოლხეთის ენდემი
- Anthemis woronowii Sosn - საქართველოს ენდემი
- Astragalus adzharcicus Popov - აჭარა-ლაზეთის ენდემი
- Amaracus rotundifolius- აჭარა-ლაზეთის ენდემი

სს „აჭარის წყლის ალიანსმა“ კონსულტანტის და ქვემო ვაშლოვანის ეკოკლუბის წევრების დახმარებით გადარგვის პროექტი განახორციელდა. გადარგვის განხორციელებამდე, უზრუნველყოფილი იქნა მოსწავლეებისთვის ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის დეტალურად გაცნობა. გაზიარებულ იქნა ინფორმაცია ადგილობრივ ენდემურ სახეობებზე.



### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამგებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge



## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N10

MAY, 2021

### REPLANTING OF ENDEMIC PLANTS IN KVEDA VASHLOVANI

The main objective of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme in the semi-urban areas and rural villages of Ajara is the introduction of reliable and uninterrupted water supply and a safe and hygienic wastewater system, contributing to the quality of life of the population of Ajara and protecting the environment.

In order to make this happen new water supply and Wastewater infrastructure will be constructed. The planning, design and implementation of the new systems is organized in full compliance with International and national Environmental, Social and health and Safety Standards and Requirements.

In accordance with KfW Environmental, Social and Health and Safety standards, biodiversity surveying and monitoring is carried out for each project, with the objective to ensure biodiversity conservation and sustainable natural resource management in the project area.

The survey and monitoring includes the inspection and evaluation of flora and fauna with the target to assess a potential impact of the project and in case of a potential impact, plan and implement mitigation measures. The biodiversity experts, based on the monitoring, prepared recommendations on collecting seeds of protected, endemic plants in the project area and planting those in the vicinity or replanting them beyond the rehabilitation area.

In Khulo, as a result of the research conducted in Kvemo Vashlovani, the following protected, endangered and endemic herbaceous plants were found in the project area.

- Euphorbia pontica Prok
- Anthemis woronowii Sosn
- Astragalus adzharcicus Popov
- Amaranthus rotundifolius

The AWA with consultant support and the members of the Eco club of Kvemo Vashlovani implemented a replanting project. Before getting active, a detailed introduction on the importance of biodiversity protection was provided. Information on local endemic species in the area were shared.



#### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.